


1938

საქართველო
საბავშვო ჟურნალი

პიონერი



№ 9
1938



პიონერი

საქ. აღმაშენებელი კომიტეტისა და
საქ. განსახორციელებელი მართლმადიდებელი შტაბის.

სექტემბერი 1933 წ. № 9

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3—02—51


შინააქსი

გვ.

1. იოსებ ნონეშვილი,—ბორის ძნელაძის ძეგლთან (ლექსი) 1
2. ახალგაზრდობის მეოცდაოთხე საერთაშორისო დღე (წერილი) 2
3. იგორ ვსევოლოვსკი,—მჭედელი და თვითმკვრინავე (მოთხრობა
თარგმანი ა. ახნაზაროვისა) 3
4. ლილია ვიზკოლიძე,—ნანა (ლექსი) 6
5. როდინი შოკშია,—სამშობლოსათვის (ნარკვევი) 7
6. ლავრენტი ზინინაძე,—ნადიმი (მოთხრობა) 10
7. ალექსი ვინევილია,—ლიანას შტრედი (ლექსი) 13
8. პერი დილაკოვიჩი,—(თურქული ზღაპარი—თარგმანი თამარ
ბებურიშვილისა) 14
9. გასართობი გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვარ დონის მიერ.
ყდის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ ი. ქოქიაშვილს

პიონის ძეგლის ქაღაჩი



მოვა, დაჯდება რტოებქვეშ ნელა,
ფუნჯიც მომხიბლველ ფერადებს გაშლის,
ჰშვენის ცისფერი თვალების ელვა
და ყვავილები წაბლისფერ თმაში.

პიონერს ძეგლი დასცქერს ზევიდან,
ხე ჩასჩურჩულებს ქარის ენაზე,
და ვარდი თითქოს ყელსახვევიდან
ჰპარავს სიწითლეს და სილამაზეს.

* * *

ისევ ბალიდან გაჰყურებს ქალაქს,
გალიმებული სახის იერით,
ჩაუქრობელი სიცოცხლე მარად—
წარბშეუხრელი კომკავშირელი.

ცას გარიჟრაჟის ღიმილი ეკვრის,
ყვაგილთა შუქი მიდამოს ფარავს,
დგას ხეებ შუა ძნელადის ძეგლი
და მხრებგაშლილი გაჰყურებს ქალაქს.

ბედნიერების სიმღერებს ისმენს
გალიმებული სახის იერით,
ახალგაზრდებში ჩამდგარი ისევ
წარბშეუხრელი კომკავშირელი.

ეს ორი დღეა მის ახლოს მუდამ
ვიღაც მხატვარი გოგონა დადის,
თურმე, კომკავშირის მიუძღვას უნდა
ჩაუქრობელი გმირის სურათი.



ახალგაზრდობის მოცდაოთხე სკოლაში

საქართველოს
საბავშვო განათლების
საქართველოს
საბავშვო განათლების

ეს იყო ოცდაათი წლის წინ.

ზარბაზნების გრიალი მთელ მსოფლიოს აზანზარებდა. სად არ ისმოდა უდანაშაულო მომაკვდავთა კვნესა და გმინვა: რუსეთსა თუ გერმანიაში, ინგლისსა და საფრანგეთში, ბელგიასა და თურქეთში... ყველგან, ყველგან საზიზღარი ომი იყო. უთვალავი ახალგაზრდობა იხოცებოდა ბრძოლის ველზე, უთვალავი ახალგაზრდობა სახიზრდებოდა და ილუპებოდა. მერე, რატომ ხდებოდა ეს?

ყველას აინტერესებდა პასუხი ამ კითხვაზე და ბევრმა არ იცოდა, თუ რატომ. მხოლოდ ნაწილს შეეძლო გაეგო, რომ ომში ადამიანები ერთი მუჭა მდიდრებისათვის იხოცებოდნენ, იმათთვის, ვინც სძაგდათ და ეზიზღებოდათ.

რევოლუციის დიდი გენიოსები ლენინი და სტალინი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინააღმდეგნი იყვნენ. ლენინი მოუწოდებდა ხალხს შეეწყვიტათ უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტა და იარაღი აეღოთ საკუთარი ქვეყნის მდიდრების წინააღმდეგ. მრავალჯერ მიუმართავს ვლადიმერ ილიას-ძეს ახალგაზრდობისათვის ამგვარი სიტყვებით.

მისი ინიციატივით 1915 წლის აპრილში, უმაგალითო ომის მძვინვარების დროს, მოწვეულ იქნა ახალგაზრდოაო სოციალისტური ორგანიზაციების ბერნის საერთაშორისო კონფერენცია.

ამ კონფერენციამ განსაკუთრებით ერთი მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო — დადგენილება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის დაარსების შესახებ.

იმავე წლის ოქტომბერს რევოლუციურმა ახალგაზრდობამ მართლაც მოაწყო ეს დღე. რამდენიმე ათასი კაცი გამოვიდა ქუჩაში დემონსტრაციაზე.

შემდგომად ეწყობოდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე. 1933 წლამდე მას სექტემბრის პირველ კვირადღეს ატარებდნენ, 1933 წლიდან კი პირველ სექტემბერს, სამუშაო დღეს — ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდობამ შეძლოს თავის საერთაშორისო დღეს გაფიცვების მასობრივი მოწყობა.

პირველ სექტემბერს გამოდის მშრომელი ახალგაზრდობა ქუჩაში მწყობრი რიგებით, გამოდის ფაშისმის და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, მშვიდობიანობისათვის, სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

წყეული ფაშისტები ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ არ მისცენ ამის ნება ახალგაზრდებს. იქ, უცხოეთში, ბავშვები და ახალგაზრდები მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობენ. იაპონიის მაღაროებში პატარებს მთელი დღის განმავლობაში ამუშავენ. ბავშვების მდგომარეობა იქ მას შემდეგ უფრო გაუარესდა, რაც იაპონიის მტაცებლებმა ომი გააჩაღეს ჩინეთთან. ჯარში წასული ახალგაზრდების მაგიერ ფაბრიკა-ქარხნებსა და მაღაროებში მოზარდებს ამუშავენ.

ფაშისტური გერმანიის სკოლებში მასწავლებლები გაკვეთილზე შესვლისას ჩვეულებრივად ჰიტლერის ქება-დიდებათ მიმართავენ მოწაფეებს.


მათ ხშირად უმეორებენ, რომ ისინი მხოლოდ ომისათვის არიან დაბადებულნი, მხოლოდ ჰიტლერისათვის არიან დაბადებულნი.

მაგრამ განა ყველას სჯერა ეს აბდაუბდა? მშრომელი ახალგაზრდობა იბრძვის ვერაგთა წინააღმდეგ.

საქვეყნოდ არის ცნობილი გირი ესპანელი ბავშვებისა და ახალგაზრდების სახელი. დიდი საბჭოთა კავშირის ბედნიერი თაობის მაგალითით აღფრთოვანებულნი, ისინი იბრძვიან თავისუფლებისათვის, მშვიდობიანობისათვის, სოციალიზმისათვის.

მათ იციან, რომ ჩვენში ხალხი საამურად ცხოვრობს, ჩვენი ახალგაზრდები და ბავშვები ბედნიერები არიან, სწავლობენ ბეჯითად და გატაცებით, ცხოვრობენ ლალად და ხალისიანად.

ახალგაზრდობის ოცდამეოთხე საერთაშორისო დღეს ჩვენი ბედნიერი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობა და ბავშვები დიდი წარმატებებით შეხვდნენ...





მჭედელი და თვითმფრინავი

მჭედელი თევდორე გორშკოვი სოფელ ოლხოვკას ნაპირას ცხოვრობდა. ამ სოფელზე მამონტოველებმა გაიარეს. ბატონ პოლკოვნიკის ცხენს ნაღები აპყროდა. პოლკოვნიკმა მამასახლისს უბრძანა მჭედელი გამოემიჯნა. მამასახლისი მაშინვე მჭედელთან გაიქცა, ბავშვები დააფეთიანა და მჭედელი სამჭედლოში წაიყვანა. თევდორემ პოლკოვნიკის ცხენი დაჭედა. მის მალაკეთილშობილებას მჭედლის ნამუშევარი არ მოეწონა. განრისხდა, გაქარხლდა, მუშტი გაიქნია და მჭედელს კბილებში სთხლიშა. მჭედელმა ორი კბილი გამოაფურთხა, პოლკოვნიკისაკენ ერთი ნაბიჯი წინ წადგა და მაგარი მუშტით პოლკოვნიკი იქვე მიაწვინა. პოლკოვნიკს მუნდირი და შარვალი ტალახში ამოესვარა. უნდოდა მჭედელი რევოლვრით მოეკლა, მაგრამ რევოლვერმა უმტყუნა და არ გაეარდა. ამის გამო პოლკოვნიკმა უბრძანა ფელდფებელს—მჭედელი ბოსტანში გაიყვანე და დახვრიტო. მჭედლის ბავშვები შეშინდნენ, ტირილი მორთეს და სახლიდან გამოცვიდნენ. მჭედლის ცოლი აქსინია პოლკოვნიკს ფეხებში ჩაუვარდა და სთხოვა, რომ მისი ქმრისათვის დანაშაული ეპატიებინა. მაგრამ პოლკოვნიკს გული არ მოუღბა, აქსინია პანჩურის კვრით გამოაგდო, თვითონ-კი მღვდელთან შევიდა ჩაის დასალევად. სამჭედლოში ცეცხლს დადღადი გაჭქონდა, იარაღი ყუთში ეყარა და პატრონს ელოდა. მაგრამ სამჭედლოში მომუშავე კაცი აღარავინ იყო. ფელდფებელმა მჭედელი დასახვრეტად წაიყვანა. ფელდფებელს კბილები სტკიოდა, ლაშქრობის დროს ქარმა დაუბერა და გაუცივდა. ჩქარობდა ბრძანების შესრულებას, შორს არ წაიყვანა მჭედელი, იქვე მდინარესთან, განაპირა ქოხს უკან, ბუდიდან ნაგანი ამოიღო.

— დრო მომეცი, რომ დმერთს შევევიდრო, სთხოვა ფელდფებელს გორშკოვმა.

— შევევდრე, რაკი მონათლული ხარ,—ნება დართო ფელდფებელმა და თან გუნებაში ფიქრობდა: დაიწყებს თუ არა ლოცვას, აქვე მივაწვენო.

მჭედელს ხელები ზურგს უკან ჰქონდა გაკრული. თევდორე გორშკოვმა დაიჩოქა, ვითომდა ლოცვა დაიწყო. ნამდვილად კი დაუმიზნა და ფელდფებელს მუცელში თავი აპყრა. ფელდფე-

ბელმა ერთი-კი დაიკვნესა, რევოლვერი ხელიდან გაუსხლტა, თვითონ ფერდობზე ჩაგორდა და კრინტი აღარ დაუძრავს. გორშკოვმა კი მდინარის ფონზე გადაირბინა და მინდვრებს მოედო. იმისთვის თვალი აღარავის მოუქრავს.

შუადღე იქნებოდა, რომ მჭედელმა იმ ადგილს მიაღწია, სადაც ბუდიონის ცხენოსანი ჯარი იყო დაბანაკებული. ჯარისკაცებმა დაინახეს, რომ იმათ-კენ მირბოდა ხელებზეთოკილი კაცი, რომელიც ფეხშიშველი იყო და პერანგიც ჩამოხეული ჰქონდა. შემოეხვივნენ, თოკი შემოხსნეს და უფროსთან მიიყვანეს. უფროსმა მჭედელს ყველაფერი გამოჰკითხა და ბრძანა, რომ იმისთვის საჭმელი მიეცათ და ჩაი დაეღვინებინათ. უფროსი ცხენს მოახტა და წავიდა, რომ თავისი უფროსებისათვის მოეხსენებინა, ის რაც შეიტყო გორშკოვისაგან მამონტოველების შესახებ.

მჭედელი-კი ცხენოსნებთან მოეწყო და იმათთან ცხოვრობდა. მოსწყინდა გორშკოვს უსაქმოდ ყოფნა. მოძებნა ესკადრონის მჭედელი და იმას შეელოდა, ცხენებს ჰედავდა, ჯარისკაცებს დაუმეგობრდა. ნახეს, რომ კარგი მუშაკაცი იყო, მზიარული, სიმღერების თქმაც იცოდა. ხანგამოშვებით მჭედელი ჩაფიქრდებოდა ხოლმე, როდესაც თავისი-ოჯახი და სახლკარი მოაგონდებოდა. „ნეტა ისინი ახლა რას



ფელდფებელმა მჭედელი დასახვრეტად წაიყვანა

აკეთებენ, როგორ არიან, ბავშვები წვრილები მყავს, ანდრია და სიმონიკა. ჩემი ცოლი აქსინიაც ახალგაზრდაა, წყენა და შეურაცხყოფა რამ არ მიაყენონ მამონტოველებმა“... მოწყენილია მჭედელი, სულ ეჩვენება, თითქოს საზიზღარ თეთრებს მისი ქონისათვის ცეცხლი წაუკიდებიათ და ბავშვები დაუბოცავეთ. ამ ფიქრებში გართულმა ერთხელ მოიწადინა კიდევ ოლხოვკაში დაბრუნება. სთხოვა ამხანაგ უფროსს, მაგრამ იმან დაუშალა: სულერთია, მაგით საქმეს ვერაფერს უშველი, ხოლო თავს დაიღუპავო. მოითმინე, მჭედელო, სამიოდე დღეც არ გაივლის, ოლხოვკას დავიპყრობთ და შენის ბავშვებისა და ცოლის ნახვას კვლავ ედირსებო. მჭედელიც დამორჩილდა. უფროსმა ტყუილი არ უთხრა. მეორე დღეს ჯერ მხეს მინდვრებისაკენ არ ჩამოეხედა, რომ ბუკის ხმა გაისმა. ერთბაშად ყველა ესკადრონში მებუკეებმა განგაში დაკრეს, და ყველა ესკადრონმა და რაზმმა სალაშქრო მზადება დაიწყო. მჭედელსაც მიუყვანეს ფიცხი ცხენი და ამხანაგმა უფროსმა უთხრა: „შეჯექ, გორშკოვო“.

მოახტა ცხენს მჭედელი და უცბათ ბუდიონი დაინახა. ბუდიონი ცხენზე იჯდა და ესკადრონებს სალამს აძლევდა, ჯარისკაცები-კი „ვამას“ ყვიროდნენ. როდესაც ჯარი უნდა დაძრულიყო, მჭედელმა ცაში საოცარი ფრინველი დაინახა. ეს ფრინველი პირდაპირ ჯარს უახლოვდებოდა, თანდათან ძირს იწევდა და დიდდებოდა. მჭედელი მიხვდა, რომ ეს ფრინველი კი არა, აეროპლანი იყო, რომლის ამბავიც ჯარისკაცებისაგან გაეგონა, თვითონ-კი არასოდეს არ ენახა. აეროპლანი-კი თანდათან ახლოვდებოდა, და მჭედელმა გაიგონა, რომ ბუდიონიმ ჯარისკაცებს უბრძანა, რაც შეეძლოთ ხმამაღლა ეყვირათ და ხელები გაეჭნიათ. ჯარისკაცებმა ყვირილი მორთეს და ქუდებს ჰაერში ისროდნენ. მჭედელიც სხვებთან ერთად ყვიროდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა. აეროპლანი კოლბოხზე ორჯერ-სამჯერ შემო-

ტრიალდა და შეჩერდა. ცხენოსნები ქარიშხალსავით მისცივედნენ აეროპლანს, საიდანაც ინგლისელი ოფიცერი გადმოვიდა. ოფიცერთან ცხენით მიდგარა მისი და იმის წინ ცხენი მედგრად შეაყენა.

— ნება მომეცით გკითხოთ, ვისთან და სადა ვარ? — წმინდა რუსული ენით იკითხა ოფიცერმა და ბუდიონის დაუწყო თვალთ სინჯვა. მინდობილობა მაქვს გენერალ შკუროსაგან და გენერალ მამონტოვს უნდა გადავცე.

— აქ გადმომეცი ეგ წერილი, — უთხრა ბუდიონიმ. — თქვენ ბუდიონთანა ხართ.

ოფიცერს შეეწინა და დაიწყო მტკიცება, ბუდიონის შეცდომით შევხვდი, ბუდიონის ინგლისის მეფე დასჯისო, მაგრამ ბუდიონის მეფე ეფებებედაც არ ეკიდა და წერილს არხეინად კითხულობდა. წერილში გენერალი შკურო გენერალ მამონტოვსა სწერდა იმის შესახებ, რომ შეთანხმებულიყვნენ და ერთად მოემწყვდიათ მახეში ჩვენი ცხენოსანი ჯარი.

— ვნახოთ, ბატონო გენერალო, — თქვა ბუდიონიმ, — ვინ ვის აჯობებს, შევიჯიბრნეთ.


და უბრძანა, რომ მფრინავი შტაბში წაეყვანათ ხოლო შტაბის უფროსს განკარგულება მისცა, რომ შკუროს საპასუხოდ წერილი დაემზადებინა. ეს საპასუხო წერილი ასეთი შინაარსისა იყო:

„წინადადებას გაძლევთ, თქვენო აღმატებულეზავ, ამ თვის 24 დილით ქალაქ ვორონეჟის მოედანზე გაამწკრივოთ თქვენი ბრბო და იარაღი ჩამოართვათ. მე კი შემოვალ ქალაქში და აღლუმს მივიღებ“.

ამ წერილს ბუდიონიმ ხელი მოაწერა, დაბეჭდა და გენერალ შკუროს საგანგებო კაცის ხელით გაუგზავნა.

— ამხანაგო კოროპუსის მეთაურო, ამ აეროპლანს რაღა ვუყოთ? — ჰკითხა ბუდიონის შტაბის უფროსმა.

— ტექნიკის მცოდნე კაცი იპოვნე, იმას მიაბარე შესანახად და ბარათი ჩამოართვი, — უბრძანა კოროპუსის მეთაურმა. — როცა დავბრუნდებით, თვით-



ოფიცერთან ცხენით მიიჭრა ბუდიონი და იმის წინ ცხენი მედგრად შეაყენა

მფრინავი გვექნება, მფრინავს-კი მე თვრ-
თონ მოვძებნი.

შტაბის უფროსმა დაუწყო ჯარის-
კაცებს გამოკითხვა: თქვენს შორის ტექ-
ნიკის ყველაზე უკეთესი მცოდნე ვინ
არისო.

— მჭედელი! — დაიყვირეს ჯარისკა-
ცებმა და თედორე გორშოკოვი ხელის
კერით წინ წამოაგდეს.

— შეგიძლიან მოუარო? — ჰკითხა შტა-
ბის უფროსმა გორშოკოს.

— რატომ, შეგიძლებ, — დაუფიქრებ-
ლად უპასუხა მჭედელმა და თან ცნობის-
მოყვარეობით ათვალეფრებდა ამ საოცარ
ფრინველს.

ჯარისკაცებმა თვითმფრინავს ორი
ტვირთმზიდველი ფაშატი ცხენი მოუბეს
და ჯარს უკან გაადევნეს.

დილით ჯარის ნაწილმა მჭედლის სოფელს მიაღწია.
მჭედელმა გორშოკოვმა ნახა, რომ თეთრებს იმისი
ქოხი გაეცარცვათ და ცეცხლი წაიკიდებინათ. თვედო-
რე თავგამოდებული ეძგერა ქოხს და დარწმუნდა,
რომ აღარსადა ჩანდნენ არც აქსინია და არც პა-
წიები — ანდრია და სიმონიკა. საცოდავად დაი-
ღმუვლა მჭედელმა და უცბათ დაინახა, რომ მეზობ-
ლის ქოხიდან გამოვიდა აქსინია და გამოცვივდნენ
ანდრია და სიმონიკა და მორთეს ყვირილი:


— მამილო! მამილო!

მჭედელმა შეიტყო, რომ იმისი ცოლი აქსინია და
შვილები დაუშალავთ და შეუნახავთ მეზობლებს. თა-
ვის გმირულ მკერდში ჩაიკრა ცოლი და ბავშვები. ბუ-
დიონი კი ხელწერილის გაცემას აჩქარებდა. თვედორე
გორშოკოვმა მისცა ხელწერილი და ცხენოსანი ჯარი
ვორონეჟის დასაპრობად გაეშურა.

ანდრია და სიმონიკა უკვე აძვრნენ თვითმფრინავში
და ხელს ავლებდნენ თვითმფრინავის პროპელერსა და
სხვა ნაწილებს. მჭედელი იბულებული იყო დაეტუქსა,
რომ ბავშვები მოეშორებინა თვითმფრინავისათვის.
მაგრამ ბოლოს თვითონაც ვერ მოითმინა, დაუწყო
თვითმფრინავის ნაწილებს სინჯვა და ხელის ხლება
და უნდოდა თავის ჭკუით მიმხვდარიყო, რომელ
ნაწილს რა დანიშნულება ჰქონდა. ხომ მოვალე იყო
სცოდნოდა, რა ნაწილი რისთვის იყო გაკეთებული,
მით უმეტეს, რომ იგი ბუდიონიმ ტექნიკურად
მცოდნე და მომზადებულ ადამიანად აღიარა.

მცირე ხნის შემდეგ თვითმფრინავთან მთელმა
სოფელმა მოიყარა თავი, და მჭედელი უხსნიდა, რა
ნაწილი რისთვის იყო გაკეთებული, რა საოცარი
ფრინველი იყო იგი და იმით როგორ დაფრინავენ
ტექნიკურად განათლებული ადამიანები.

ოცდაოთხისათვის ბუდიონიმ, როგორც გენერალს



ანდრია და სიმონიკა ხელს ავლებდნენ თვითმფრინავის პროპელერსა და სხვა ნა-
წილებს.

შეპირდა, ვორონეჟი დაიპყრო, ყაჩაღები გაიქცნენ,
და გენერალი შკუროც მათ გაჰყვა. ბუდიონის ცხე-
ნოსან ჯარს დაუტოვეს დავლად ჯავშნიანი მატა-
რებლები და რაც კი სურსათი და სამხადისი ჰქონ-
დათ. როდესაც ცხენოსანმა ჯარმა ისევ გამოიარა
სოფელ ოლხოვკაზე, ბუდიონიმ პირადად გადუხადა
მადლობა მჭედელს თვითმფრინავის შენახვისათვის
და ხელი ჩამოართვა.

ამ დროს ბუდიონის გვერდით უდგა მზიარული, ქერა
ახალგაზრდა, რომელსაც ნაცრისფერი ხალათი ეცვა.
ეს ის მფრინავი იყო, რომელიც ბუდიონის ეშოვნა
თვითმფრინავისათვის. ეს ყმაწვილი კაცი შევიდა
თვითმფრინავში. ანდრია და სიმონიკა მას მოსვენე-
ბას არ აძლევდნენ, ხან რასა ჰკითხავდნენ და ხან
რას. ის კი არ უჯავრდებოდა, ყველაფერს აჩვენებ-
და და უხსნიდა. როდესაც ცხენოსანი ჯარი და-
იძრა გზის გასაგრძობად და სოფელ ოლხოვკას
გაშორდა, თვითმფრინავიც აფრინდა, სამჭედლოს
თავზე მოექცა და ცისკენ აემართა. ჯარისკაცები
კვლავ „ვამას“ ყვიროდნენ, რადგან ეს პირველი
ცხენოსანი ჯარის პირველი თვითმფრინავი იყო.


ოცმა წელმა გაიარა. ანდრია და სიმონიკა გორშ-
ოკოვები წამოიზარდნენ, ანდრია თვედორეს-ძედ და
სიმონ თვედორეს-ძედ გადაიქცნენ და დიდი ხანია უკ-
ვე უფროსობენ დიდსა და მამემ თვითმფრინავებზე.
მთავრობის მიერ სიმამაციისათვის ორივენი ორდენე-
ბით არიან დაჯილდოვებულნი.

ხშირად იგონებენ ისინი, მამაჩენი რომ ტექნიკუ-
რად მცოდნე კაცი არა ყოფილიყო და იმისათვის
თვითმფრინავი არ ჩაებარებინათ შესანახად და
მოსავლელად, ვინ იცის, ჩვენ არასოდეს მფრინავები
არ გავმხდარიყავითო.

თარგმანი ა. ახნაზაროვისა



ნ ა ნ ა



დედის თვალო, დედის ნატვრავ,
ვარდფოთოლო ცვარნანამა,
მზე შენს ტუჩზე ცისკარს ხატავს,
ნანა, შვილო, ნანა, ნანა...

ბრძოლის ცეცხლით, მკერდგამთბარი,
ვარდ-ზამბახით მოქარგული,
სადაც მზე თანაბარი
და სიამით ფეთქავს გული,

დილის ბროლი მინდორ-ველი
გაგფენია ფიანდაზად,
მყუდროა და უდარდელი
შენი ძილი, შენი გაზრდა.

სადაც შრომა მზეანათრთოლ
სიხარულის დროშად იქცა,
აქ სიკვდილიც ვერ შემაქრობს,
შენს თავსა და შენს მზეს ვფიცავ...

მარგალიტის მძივი ვთესე,
შენთვის ვქარგე ოქროს ყანა,
გული შენთვის ვაალმასე,
ნანა, შვილო, ნანა, ნანა...


გაიზარდე, ნატვრავ დედის,
გახდი ქვეყნის სასახელო!
საბჭოეთის დიად ბედით
ხარობს ჩვენი საქართველო.

ადრე შენი ჯერიც მოვა...
ყური მიგდე, გეტყვი მართალს:
ჩვენი ტურფა სამშობლოა
საბჭოეთის ფართე კალთა,

მარგალიტის მძივი ვთესე,
შენთვის ვქარგე ოქროს ყანა,
გული შენთვის ვაალმასე,
ნანა, შვილო, ნანა, ნანა...



სამშობროსათვის



რედაქციისაგან: ჟურ. „პიონერის“ მკითხველებისათვის რომ გაგვეცნო ხასანის ტბასთან მომხდარი ამბები, ჩვენი დავალებით მწერალმა როდიონ ქორქიამ ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრიბა ეს ცნობები. წერილს საფუძვლად დაედო კაპიტან სტეფენკოსი, პოლიტხელი კრაეჩენკოსი და „კრასნაია ზეზდას“ სპეციალურ კორესპონდენტის ხ. ხირენის წერილები.

1

შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიის ზღვის ნაპირას, სამი სახელმწიფოს საზღვარი ხედება ერთმანეთს: საბჭოთა კავშირისა, იაპონიისა და მანჯურისა. რუკას რომ დააკვირდებით, დაინახავთ, რომ საზღვრები ერთმანეთს პოსიეტის რაიონთან ხედება, იქ, სადაც დის მდინარე ტუმენ-ულა და დევს ტბა ხასანი.

პოსიეტის რაიონი დაბლობი ადგილია, ჭაობიანი, პატარაპატარა მდინარეებით დასერილი. ჭაობში, აქა-იქ, ამართულია მაღლობები. ხასანის ტბასთან ამართულია ორი მაღლობი: ზაოზერნაია, ანუ ჩანკუფინი და ბეზიმინაია. იქაური მკვიდრნი ასეთ მაღლობებს სოპკას ეძახიან.

სოპკებს ზაოზერნაიას და ბეზიმინაიას დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვთ. საქმე ის არის, რომ ხასანის ტბა და ეს ორი სოპკა ზღვიდან ათი მეტრითაა დაშორებული, ხოლო ვლადივოსტოკიდან 130 კილომეტრით. სოპკების სიმაღლე 150 მეტრს არ აღემატება, მაგრამ ვისაც ის სიმაღლე უჭირავს, იმის ხელშია მისასვლელი გზები ნავსადგურ პოსიეტისაკენ. აქედან შეიძლება ვლადივოსტოკი მუდამ მუქარის ქვეშ იყოლიო. ვლადივოსტოკი კი ჩვენი დიდი ქალაქია და ნავსადგური. პატარა ნავსადგურს პოსიეტსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

იაპონელებს რომ ზაოზერნაია და ბეზიმინაია დაეპყროთ, მათ ქედზე სანგრებსა და სიმაგრეებს გამართავდნენ და ფაქტიურად პოსიეტის მთელ რაიონს დაეპყრებოდნენ.

რადგან ხასანის ტბასა და ამ ორ სოპკას ასეთი დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვთ, იაპონელებმა განიზრახეს მათი ხელში ჩაგდება.

2

რატომ გაბედეს იაპონელებმა თავდასხმა? საქმე ის არის, რომ ორივე სოპკის წინ ჩვენ მხარეზე დევს ჭაობი და ტბა ხასანი. ხასანი ხუთი კილომეტრის სიგრძეა. თუ იაპონელები სოპკებიდან ზარბაზნებს დაგვიშენდნენ, ჩვენ, მათი ფიქრით, ვერ შევძლებდით წინააღმდეგობის გაწევას. ჭაობში და ტბაში ხომ ზარბაზნებს და ტყვიამურქვევებს ვერ გადაიტანენო, იფიქრეს იაპონელებმა, ხოლო თუ ტბის პირით ვიწრო მშრალი ზოლით წამოვიდნენ საბჭოთა ჯარები, ყველაფერი ხელისგულივით ჩანს და გავანადგურებთო...

ამიტომ იაპონელები წინასწარ მოემზადნენ თავდასხმისათვის. 20.000 კაცი შეყარეს საზღვარზე და 29 ივლისს შეტევაზე გადმოვიდნენ.

3

ბრძოლა დაიწყო დღისით, სოპკა ბეზიმინაიაზე. ჩვენ საზღვარზე მხოლოდ სანაპირო საყარაულო რაზმები გყავდა. იაპონელი მოძალადეების დანახვაზე ჩვენი საყარაულო რაზმი არ დაიბნა. რაზმი თერთმეტი კაცისაგან შედგებოდა, მაგრამ იაპონელთა ასეულს გამირულად ეკვეთა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ხუთი წითელარმიელი მოკლულ იქნა, ექვსი დაიჭრა, მაგრამ დაჭრილებმა უკან არ დაიხიეს. ჩქარა ჩვენი მაშველი რაზმიც მოვიდა და მტერი უკუაგდო. მტერმა პირველ დღეს დიდი ზარალი ნახა. ბევრი დახოცილი დატოვა ბრძოლის ველზე.

მეორე დღეს იაპონელები შეტევაზე არ გადმოსულან.

მესამე დღეს დილით იაპონელებმა ორივე სოპკას შემოიჭრეს. გაიმართა ძლიერი ომი. ეს ომი ორ დღეს გრძელდებოდა. ჩვენგან სანაპირო რაზმები იბრძოდნენ, იაპონელების მხრიდან კი ნამდვილი სავლელ ჯარები. იაპონელები რიცხვით ბევრად ჭარბობდნენ

ჩვენებს. იაპონელებმა ხელთ იგდეს ორივე სოპკა, და ჩვენებმა უკან დაიხიეს. იაპონელები გამალებით შეუდგნენ სოპკების გამაგრებას.

2 აგვისტოს საბჭოთა სარდლობამ საველე ჯარები დაძრა, რომ განედევნათ მტერი საბჭოთა მიწიდან.

ბრძოლა მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. წამოვიდა კოკისპირული წვიმა, ჭაობი სულ წყლით დაიფარა. იმ ვიწრო ზოლზეც, ხასანის ტბის პირას რომ იყო, წყალი დადგა, მაგრამ ჩვენი მამაცი წითელარმიელები არაფრის წინაშე არ იხევდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ ავიდოდა უწინ სოპკაზე და აღმართავდა წითელ დროშას.

რ აგვისტოს გაათურებული ბრძოლის დროს ცაზე გამოჩნდნენ ჩვენი თვითმფრინავები. მათ დაუშინეს იაპონელებს და მიწასთან გაასწორეს მათი სიმაგრეები.

— „ვაშა! გაუმარჯოს დიდ სტალინს!“ — შესძახა ჩვენმა ჯარმა და ლომივით ეცა მტერს.

და თუმცა მტერი მალლობზე იდგა, თუმცა საუკეთესო პოზიციები მტრის ხელში იყო, თუმცა ჩვენები ჭაობსა და ტალახში იდგნენ, მაინც ყოველგვარი სიძნელეები გადალახეს ჩვენმა გმირმა წითელ-

არმიელებმა. გაცურეს მდინარე, გადავიდნენ ტბაზე გაიარეს ჭაობი, დაჭრეს და გაარღვიეს მთელხლართები, ავარდნენ მალლობზე, სძლიეს მტერი და ჩვენი სამშობლო მიწა გაათავისუფლეს მძიმე ბრძოლებისაგან...

ბრძოლა დასრულდა 9 აგვისტოს, და ორივე სოპკაზე ისევ აფრიალდა წითელი დროშა.

4

ჩვენ გვინდა რამდენიმე გმირის სახელი გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს, იმ გმირებისა, რომელნიც უდიდესი მამაცობითა და სიყვარულით იბრძოდნენ ჩვენი სამშობლოსათვის.

წითელარმიელი მედვედევი დაჭრეს ზაოხერნაის სოპკაზე. მედვედევს გარს შემოეხვივნენ იაპონელები. მას 5 ყუმბარა კიდევ შერჩა. დაუშინა მტერს და გაარღვია მტრის რკალი. ამ დროს მას ეცა ხმალამოწვდილი იაპონელი. მედვედევს იარაღი არა ჰქონდა აღარც ყუმბარები შერჩენოდა. მაშინ მედვედევმა მუშტი დაჰკრა იაპონელს და იქვე ჩააწვინა.

ლეიტენანტი ტერეშკინი რვაჯერ დაჭრეს, მაგრამ ბრძოლის ველი არ დატოვა. მეტყვიამფრტყვევი რომ მოუკლეს, თვითონ ჩაუჯდა ტყვიამფრტყვევს და ანადგურებდა მტერს. როცა შეტევაზე გადასვლის ბრძანება მიიღო, ტერეშკინი ადგა და შესძახა თავის რაზმს:

— ამხანაგი სტალინის სახელით, წინ!

ამ დროს მეცხრე ტყვია მოხვდა ტერეშკინს. ტერეშკინი ჩაიკეცა. მას მისცივდნენ წითელარმიელი, სისხლში მცურავმა ტერეშკინმა შესძახა მათ:


— განაგრძეთ ცეცხლი!

კომუნისტ ლევჩენკოს შვიდი იაპონელი ეცა. ლევჩენკოს მხოლოდ ერთი ყუმბარა ჰქონდა და რევოლვერი. ყუმბარით ორი მოკლა. დანარჩენებს რევოლვერი დაუშინა. ხუთი კაცი მაინც სძლევდა ერთს, მაგრამ ლევჩენკოს მეორე ამხანაგი, უპარტიო ულიანოვი მოეხმარა, და ხუთივე იაპონელი ამოხოცეს...

საინტერესოა მოკავშირე კასიანოვის საქციელი.

მოკავშირე კასიანოვს მოხსენება უნდა წარედგინა ლეიტენანტისათვის. შეჯდა ცხენზე და გაეჭანა. წინ იაპონელთა შარი გადაეყარა. შარი კასიანოვისკენ ზურგით იდგა. კასიანოვმა ცხენი ჯიქურ იაპონელებისაკენ გაეჭანა და გაარღვია რაზმი. იაპონელები გონს მოვიდნენ და ტყვია დაუშინეს, მაგრამ კასიანოვი გადარჩა და ლეიტენანტს მოხსენება ჩააბარა. საჭირო იყო პასუხის მიტანა. კასიანოვმა ამავე გზით წამოიღო პასუხი. მას ისევ ის შარი უნდა გაერღვია. კასიანოვი არ შეშინდა. ეცა შარს, გაარღვია. დაუშინეს ტყვია, მოუკლეს ცხენი და გაუხვრიტეს ქული. კასიანოვი ფეხით გაიქცა და მიიტანა პასუხი...

ბევრი იყვნენ ასეთი გმირები, ყველას ვინ ჩამოთვლის, მაგრამ კომკავშირელ ვასილ ვენევიტინზე არ შეიძლება არ შევჩერდეთ.



ბრძოლების დაწყების წინა დღეებში ვენევიტინი ბერაში იყო. მან შენიშნა, რომ სახლვარს გადმოსული იაპონელები ჩვენს მიდამოებს ათვალეერებდნენ და რუკას იღებდნენ:

— სდექ! — დაუყვირეს იაპონელებს. ერთი იაპონელი გაიქცა, ვენევიტინმა დაუმიზნა და მიწაზე გააგორა.

31 ივლისს ვენევიტინი გამირულად იბრძოდა ჩვენი სამშობლოსათვის. მეორე დღეს ხმა გავარდა ვენევიტინი მოკლესო. ეს ამბავი ყველას ეწყინა, რადგან ვენევიტინი კარგი ამხანაგი იყო და ყველას უყვარდა. დაიწყეს მოგონება. ერთმა თქვა:

— მე ვხედავდი, როგორ გამირულად იბრძოდა ვენევიტინი და იძახდა:


— „წინ, სამშობლოსათვის! წინ, სტალინური კონსტიტუციისათვის“. და ნალვლიანად თქვეს:

— ნუთუ დაიღუპა ვენევიტინი?

ამ დროს მათ წინ თავშეხვეული ვენევიტინი გაჩნდა. შეიარაღებული ამხანაგები მისცვივდნენ ვენევიტინს და გადაეხვივნენ. თურმე ვენევიტინი დაჭრილა წაუყვანიათ ზურგში, მაგრამ, იქ არ გაჩერებულა, ისევ ფრონტზე დაბრუნებულა.

— მე აქედან არ წავალ, სანამ იაპონელ პროვოკატორებს არ გავრეკავთ ჩვენი მიწიდან, — თქვა ვენევიტინმა.

ვენევიტინს ნება დართეს ებრძოლა. ის პირველი მიუახლოვდა ზაოზერნაიას მალღობს და მაკრატლით დაჭრა მავთულხლართები. იაპონელებმა შენიშნეს და ტყვია დაუშინეს. ვენევიტინმა არ დაი-



ხია, ცალი ხელით მავთულხლართს ჭრიდა, ცალით მტერს იგერიებდა.

ერთი ტყვია თავში მოხვდა, ბინტი გადააძრო. ვენევიტინმა არც ახლა დაიხია. დაჭრა ყველა მავთული და შეასრულა დავალება.

მეორე დღეს, იერიშის დროს, ვენევიტინი მამაცურად ეკვეთა მტერს. გამირს ტყვია მოხვდა და სანამ მოკვდებოდა ერთხელ კიდევ შესძახა:

— წინ, სამშობლოსათვის!

5

აი, როგორი გამირები გამოზარდა საბჭოთა ქვეყანამ და ლენინ-სტალინის პარტიამ...

გახსოვდეთ ამ გამირების სახელები...

და ამ გამირებივით მხურვალედ გოყვარდეთ ჩვენი ძვირფასი სამშობლო...



ნედიმი

(საქართველოს ისტორიიდან)

I

თბილისს ექვსი კარი ჰქონდა. ექვსივე კარი გა-
ალო თურქთა ძლიერმა შემოსევამ. აიღეს თბილისი
და მოაოხრეს ქართლი.

თურქთა ხელში იყო რუსთავი, სიმაგრე სამშვილ-
დე, აგარანი...

თბილისში ამირა იჯდა. აქედან განაგებდა იგი
დაპყრობილ ქვეყანას. ადგილებზეც თავისი კაცები
ჰყავდა დანიშნული. უთვალავ ხარკს იღებდნენ. მო-
სახლეობა შეშინდა. ისინი გარბოდნენ, იხიზნებოდნენ
მთებში, მიუვალ ადგილებში, უღრან ტყეებში, კლდე-
ქარებში.

ქართლის მშვენიერი ქალები, შესანიშნავი ბაღე-
ბით, ვაზებით, ზღვასავით მობიბინე ჯეჯილებით
და განთქმული ნაქარმაგევი¹⁾ გარეული ცხოველე-
ბისა და მხეცების სარბიელად გადაიქცა. აქ დანა-
ვარდობდნენ ეშვიანი გარეული ტახები, დაკუნტრუ-
შობდნენ ირმები...

უკაცრიელ სოფლებში თურქები დადიოდნენ ზამ-
თრიდან ზამთრამდის. სოფლებიდან მოჰქონდათ
დიდძალი სიმდიდრე თბილისელ ამირასთან, ხოლო
ამირა დიდ დამპყრობლებთან აგზავნიდა.

— ზამთარი ჩვენმა ლაშქარმა ავკლას უნდა გა-
ატაროს, — გამოვიდა ამირას ბრძანება, — დიღომსა
და მდინარე იორის ნაპირებზეო.

თურქთა ლაშქარმა ბრძანება შესრულა. ზამთრის
სუსხი ჯერ კიდევ არ უბერავდა. უსაქმური თურ-
ქები დადიოდნენ სოფლიდან სოფლად, ჩხრეკდნენ
უპატრონოდ მიტოვებულ სახლებს, ხდიდნენ ქუ-
რებს...

მოლაშქრეთა ერთი ჯგუფი მცხეთიდან ქართლის
გავერანებულ ქალებში გავიდა. ბევრი იარეს ქალა-
კებში, ვერაფერს წააწყდნენ. იმედგაცრუებული
მონადირე თურქები უკან აპირებდნენ დაბრუნებას,
მაგრამ უეცრად დაინახეს ყელმოღერებული ირემი.
შესანიშნავი დიდი, — ლამაზი რქები ჰქონდა ირემს.
მონადირე თურქები დაედევნენ. ირემი გარბოდა
კუნტრუშით, მაღლა აწეული თავით კოხტად მიიქ-
როლებდა ლამაზად გაფარჩხულ რქებს.

— ნუ მოვკლავთ, ცოცხლად დავიჭიროთ, — დაი-
ძახა ერთმა.

— ცოცხალი ირემი ... მართლაც რომ კარგი იქ-
ნება ცოცხლად დაჭერა, — დაეთანხმა მეორეც.

— რა მშვენიერია! ო რა ლამაზი რქები აქვს, ჰაუ,
რამდენი შტო! — უფრო მეტად მოხიბლული იყო
მესამე თურქი. — ცოცხლად დავიჭიროთ, ცოცხლად,
ამირას მივგვართ და ჯილდოს მივიღებთ.

— ის კიდევ თავისი სახელით დიდ სულთანს
მიჰგვრის. სულთანს ალაფრთოვანებს ეს ძვირფასი
საჩუქარი, — დაიძახა სხვამ.


რქანაყარი ირემი ქალაში კვლავ გარბოდა, შორი-
ახლოს მისდევდნენ მეოცნებე თურქები. ბევრი ვაკე
გადაირბინეს. არ გრძნობდნენ დაღლას, არც ხანის
გასვლას. ირემი უფრო გაშმაგდა, გარბოდა, ცეც-
ხლივით უფლავდა შეშინებული თვლები. შუა ქა-
რთლამდის ავიდა, იმ ადგილს, სადაც ლიახვი ერ-
თვის მტკვარს. უცებ შეჩერდა, ძალიან იყო დაღლი-
ლი, ქოშინობდა, ფერდი ფერდს აწყდებოდა. შეეშინ-
და ლიახვში გასვლის და მდინარის ნაპირს შეჰყვა.
უცნაურად აბრიალებდა შეშინებულ კკვიან თვა-
ლებს, თითქოს გრძნობდა საბედისწერო წუთების
მოახლოვებას. მდეგრებმა თავი დაუარეს. ირემმა
ახლა კი იშვირა ფეხი ლიახვში და გაღმა გავიდა.
კვლავ შურდულივით მირბოდა ლიახვს გაღმა პა-
ტარა აღმართზე.

ძალიან დამფრთხალი იყო საწყალი ირემი. ამ მი-
დამოებში თურქების შიშით ხალხი ვეღარ გაჩერდა
და ირემს ვინ დააკავებდა. სანამ თურქები ლიახვში
გავიდოდნენ, ირემმა მიტოვებული სოფელი ტინის-
ხიდი¹⁾ გადაირბინა.

ტინისხილში დაიკარგა ირმის კვალი, აღარსად ჩან-
და. გული დასწყდათ მდეგრებს. მათ ისევ მიტოვე-
ბული სახლების ჩხრეკა დაიწყეს. იპოვნეს გადაპა-
ლული ნივთები და ძვირფასი ქსოვილები. მონადირე
თურქებს იმედი გაუცრუვდათ. ვერც თბილისის
ამირა გაახარეს და ვერც დიდ სულთანს გაუგზავნეს
სასიხარულო ამანათი.

¹⁾ ნაქარმაგევი სოფელი იყო გორის მახლობლად, დღეს ამ
სოფელს კარალეთი ეწოდება, გორიდან დაშორებულია 7—8
კილომეტრით.

¹⁾ ეს სოფელი ახლაც არსებობს გორის მახლობლად, ლიახვის
ვაღმა, და დღესაც ტინისხიდს ეძახიან.



ირემი გარბოდა კუნტრუშით.

II

დავით აღმაშენებელი ჯერ კიდევ პატარა იყო, პირველად რომ გავიდა ბრძოლაში. არაფრის ეშინოდა თექვსმეტი წლის ჭაბუკს. ძღვეამოსილ მტერს თავისი ლაშქრით გაბედულად ეკვეთა, თურქებს უკან დაახევინა. ყველა გააოცა ამ უწვერულვანო ჭაბუკის სიგაჟაკცემ. აღფრთოვანდა ჭაბუკის მამა, ძალასა და მოხერხებას ხედავდა იგი თავის შვილში:

— თურქებმა და არაბებმა გათელეს ჩვენი ქვეყანა. ბედნიერი და დაუფიწყარი იქნება ის კაცი, ვინც სამშობლოს გათავისუფლებას შეეწირება... მთებში გახიზნულ ხალხს ბარად ჩამოყვანა უნდა...

— თურქთა განდევნა არც ეგრე ადვილია, — მიძიმედ თქვა დავითმა და სამშობლო ქვეყნის საზღვრები წარმოიდგინა: ლიხის მთა აღმოსავლეთით და სამეფო სადგომი წალულისთავი¹⁾. გამათავისუფლებელი ბრძოლაც აქედან უნდა დაწყებულიყო. მთელი ქართლი, კახეთი და ტაო-კლარჯეთი²⁾ თურქთა ხელში იყო...

სულთანს დიდი ხარკი მისდიოდა საქართველოდან. საქართველოს ახალმა მემკვიდრემ დავით აღმაშენებელმა 1097 წელს სულთანს ხარკი აღარ გაუგზავნა. განრისხდა სულთანი. თბილისის ამირამ დაგვიანებული ხარკი მუქარით მოითხოვა:

— თქვენ ვალდებულებას ნუ დაივიწყებთ, თორემ ავდგებით და საქართველოს ფეხის მტვრად ვაქცევთო. დავითს არ შეეშინდა მუქარის და ამირას გაბედულად შეუთვალა:

— გვეყო ამდენი ხარკის ძღვეა, ხალხს მოსვენება უნდა.

ეს პასუხი სულთანსაც მალე მოახსენეს. სულთანი აღელდა, ფრიად გარისხდა, ცოფებს ყრიდა, ამბო-

ბდა: ცუდ დროს მიშოვე ყელიო; მაშინ სულთანის ჯარი პალესტინაში იბრძოდა ჯვაროსნებთან¹⁾, მაგრამ საქართველოს მოსაოხრებლად კვლავ შეაგროვა მოლაშქრენი. ისინი ერწუხში მოვიდნენ. ქართველებიც შეეგებნენ მტერს. ჯარს თვითონ დავითი სარდლობდა. მან იზიშვლა ხმალი და მტერს პირდაპირ ეკვეთა. ფიცხელი ომი გაჩაღდა, როცა მეფე-სარდალი უშიშრად შეიჭრა მტერთა ბანაკში.

— სიკვდილი ან გამარჯვება! ასეთი იყო დავითის მოწოდება.


ხელჩართული ბრძოლიდან დაჭრილ-დაზოცილთა სისხლი ნაკადულივით მოდიოდა, ცაც წითლად შეიღებდა. მტრის მახვილმა დავითის ცხენიც მიაგნო. ცხენის სისხლმა სამოსი დაუსვარა დიდ მეომარსა და გამბედავ, მამაც მეწინავეს. დავითის ხმალი კვლავ ეღვარებდა. მთელი ლაშქარი მოხდენილად იბრძოდა, მტრებმა ვერ შეამჩნიეს ვისი ცხენი წაიქცა—მეფე-სარდლის, თუ რბგითი ჯარისკაცისა. ცხენი ჯერ კიდევ არ იყო წაქცეული, როცა დავითს ახალი, დარახტული ცხენის სადავე მისცეს ხელში. დავითი თვალის დახმამამებაში გადახტა ცხენიდან ცხენზე. მოპირდაპირეს დავითის მრისხანე სახის დანახვაც აღარ შეეძლო. ქართველებმა მტერს ძღვეის ყიფინა დასცეს და საამაყო გამარჯვება მოიპოვეს.

ამავე დროს გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი თბილისის მახლობლად შეება თურქების ლაშქარს. ბრძოლა სამშვილდეში გაიმართა. სამშვილდეში შეუვალი ციხე იყო, მაგრამ ქართველთა ერწუხში გამარჯვებამ გაამხნევა ჭყონდიდელი თავისი ლაშქრით და შეიძრწუნა თურქები. გიორგი

¹⁾ ეს მდებარეობდა ახლანდელ ბორჯომის რაიონში.

²⁾ ტაო-კლარჯეთი იმყოფებოდა სამხრეთ საქართველოში.

ავტორი.



დავითმა იწიშვლა ხმალი და მტერს პირდაპირ ეგვეთა.

ჰყონდიდელმა აიღო სამშვილდე. გამაგრდა ციხეში და რუსთავიდანაც¹⁾ გარეჯა თურქები.

ტფილისში კვლავ ამირა იჯდა. მას სინამდვილე არ სჯეროდა, თავი სიზმარში ეგონა, ხოლო წელგატეხილი თურქთა ლაშქარი საზამთროდ ტაოში დაბანაკდა. ისინი დიდ ზამთარსა და მიუვალ მთებს მიენდვნენ.

III

ცივი, სუსხიანი ზამთარი დადგა. დამარცხებული თურქები ტაოში ისვენებდნენ. მათ მიუვალ ადგილებს შეაფარეს თავი, ხოლო დავით აღმაშენებელი დიადი ბრძოლის იღუმალ სამზადისში იყო. მას სულ ერთი ფიქრი უელავდა თავში. დავითმა დაიბარა სანდო კაცები და საკუთარი იღუმალი ზრახვანი მოახსენა..

— ხმა გავავრცელოთ, თითქოს ამ ზამთარს გასატარებლად ქუთაისში ვარ წასული, ნამდვილად კი საომრად უნდა მოვემზადოთ. კლარჯეთიდან მდინარე ჭოროხის ხეობით წამოვალთ... მოულოდნელ რისხვად დავეცემით ტაოში დაბანაკებულ თურქებს.

დავითის აზრი ყველამ მოიწონა.

— ფრიად კარგი აზრია, — თანხმობა გამოუცხადა გიორგი ჰყონდიდელმაც.

გაჩაღდა დიდი საომარი მზადება, ხოლო ხმა კი გავარდა: დავითი ქუთაისში წავიდა დასასვენებლად. თურქთა მზვერავები თოვლიან მიდამოებში დაძრწოდნენ. მათ ყური მოჰკრეს დავითის „დასასვენებლად“ წასვლას. შორს იყო ქუთაისი ტაოდან. თურქთა მთავარსარდლებს სამახარობლოდ მიჰქონდათ დავითის ქუთაისში წასვლის ამბავი.

თურქებმა გული დაიმშვიდეს, ზამთრის გატარებას უომრად აპირებდნენ. უთვალავი ლაშქარი უდარდელად იყო ტაოში, მაგრამ დავითი ფეხზე იდგა, გაფაციცებით ემზადებოდა საარაკო ომისათვის. მოლაშქრე ჯარების შესახვედრად ადგილად კლარჯეთი იყო ამორჩეული.

1) რუსთავი თბილისის მახლობლად მდებარეობდა.

თოვლი იღო. კვლავ თოვდა. იყო ათას ისთექს-მეტი წლის სუსხიანი თებერვალი. მესხი და ივერიელი ჯარისკაცები დათქმულ ადგილზე შეიჭრებოდნენ. საიდუმლოდ მოხდა ყველაფერი. დავით ბელმა ისინი მდინარე ჭოროხის ხეობით წამოიყვანა.

თურქთა ბანაკს მოულოდნელი რისხვა დაატყდა. დაიბნენ, რაღა ექნათ? ირგვლივ ალყა ერტყათ, ბევრი დაიხოცა. ისინი ტაოდანაც გარეკეს. ქართველთა მამაცმა ლაშქარმა ხელთ იგდო უთვალავი ნადავლი.

— დიდიხანია ჩვენებს ამდენი ნადავლი არ დარჩენიათ, — ამბობდა გახარებული ჰყონდიდელი.

ქართველთა ლაშქარი ილხენდა გათავისუფლებულ ტაოში. ისინი მღეროდნენ ძღვევის დიად სიმღერას. ქართველთა მამაცმა ლაშქარმა სხვა კუთხეებიც შემოიერთა. ქართლში აღიკვეთა თურქთა თარეში და ხალხი თბილისის დაბრუნებაზე ოცნებობდა. დავით აღმაშენებელიც სულ ამაზე ფიქრობდა, ათასნაირ გეგმას ადგენდა.

IV

დავით აღმაშენებელმა როცა უკანვე დაიბრუნა საქართველოს მრავალი ნაწილი, მოსალოდნელი იყო თურქთა ახალი შემოსევა. ისინი მოახრებდნენ ყველაფერს, მიწასთან გაასწორებდნენ. თუ რა შეუბრალებელი იქნებოდა მტრის მომავალი რისხვა, დავითმა წინასწარ იცოდა.

გამარჯვებულმა მეფემ დაიბარა განთქმული მწიგნობრები, გამართა დიდი თათბირი, მრავალი რჩევა მოისმინა, ყველას აზრს გულდასმით უკვირდებოდა. დავითი უფრო მეტი გულისყურით გამოჩენილ მწიგნობარს გიორგი ჰყონდიდელს ესაუბრა:

— მუდმივი ჯარია საჭირო...

გიორგი ჰყონდიდელმა დინჯად შეხედა მეფეს. თმაშვევრცხილი მწიგნობრის სახეს ძალიან უხდებოდა ტკბილი ღიმილი. მან მეფეს მოახსენა:

— დიდებული აზრია, მაგრამ ჩვენს დაძაბუნებულ საშუალოში მუდმივი ჯარის შექმნა არაა ადვილი.

— ეგ მართალია, დიდო ჰყონდიდელო, მაგრამ მე სხვანაირი გეგმები მაქვს, ჩრდილოდან ყივჩაღებს გადმოვიყვან.

გიორგი ჰყონდიდელი უცებ შეფიქრდა, თითქოს ელდა რამ სცემოდეს, და მეფეს იმავე წუთს ჰკითხა:

— ვინც ქვეყანას მტერთაგან დაიცავს, იგი ხომ სახელმწიფოს სათავეშიც ჩადგება.

ამ აზრმა დავით აღმაშენებელიც შეაფიქრა. დუმილი ჩამოვარდა, მერმე კვლავ ბრძანა მეფემ:

— ისინი ჩვენს ხელში იქნებიან, ისეთ პირობებს შევუქმნი, რომ ჩვენს ხელყოფას არ იკადრებენ...

დავითმა ყივჩაღელებთან მოსალაპარაკებლად სანდო კაცები წარავლინა. ყივჩაღელებიც კარგად შეჩვენდნენ, ორმოცი ათასი კაცი შეაკროვეს. გზად ოსეთზე უნდა გამოეცვლოთ, მაგრამ ოსებსა და მათ შორის მტრული დამოკიდებულება იყო, და ოსებმა

შეთვალეს: ოსთა მიწაზე ყივჩაღები ფეხდადგმული არა ვნახოთო. ეს ამბავი საჩქაროდ აცნობეს დავით აღმაშენებელს. მეფე მაშინვე ოსეთში გაემგზავრა და თან წაიყვანა თავისი განთქმული მწიგნობართ-უხუცესი გიორგი ჭყონდიდელი. ოსეთის მეფე და ვეზირები სიხარულით მიეგებნენ დავითს, დიდი პატივისცემით მიიღეს, დავითმა დაიბარა ყივჩაღელების წარმომადგენელი და ამ მეზობლებს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკება გამართა:

— მეზობლებს მეგობრობა უნდა გქონდეთ. შენ რომ გიჭირდეს, — მიმართა დავით აღმაშენებელმა ოსთა მეფეს, — სანამ ცხრა მთას იქით ხმას მიაწვდენდე, მანამდის ჩვენი ძმები, ჩვენი ყივჩაღები ხმას მოგაწვდენენ, მხარს გაგიმაგრებენო...

— მართალია, მეფეო ივერთა! — მაშინვე დაეთანხმა ოსთა მეფე.

— ჰო და თქვენც ასე უნდა მოიქცეთ! — გადახედა ყივჩაღების წარმომადგენელს.

ისინიც იმწამსვე დაეთანხმნენ ივერთა მეფეს. ამრიგად ივერთა მეფემ ოსებს კარი გააღებინა, სა-

(დასასრული იქნება)

დაც ყივჩაღთა ორმოციათას კაცს უნდა გამოეგზავნათ. ამავე დროს დავით აღმაშენებელმა ორ მეზობელს შორის მშვიდობიანობა ჩააოაგლო და აგრეთვე სხვა საქმეც გაიკეთა: დარიალის სიმაგრე ჩაიბრუნა...
წინ მიუძღოდნენ ყივჩაღებს გიორგი ჭყონდიდელი და დავით აღმაშენებელი. ყივჩაღები ოჯახებით მოდიოდნენ...

შეიქმნა მუდმივი ჯარი. დავითს აღარავისი ეშინოდა, იგი თბილისის დაბრუნებაზე ფიქრობდა. ამირას ტახტიც უკვე შერყეული იყო, მოლონიერებული ქართველები მზად იყვნენ წართმეული ადგილების დასაბრუნებლად. ნაჭარმაგევში დიდი სამხედრო მზადება მიმდინარეობდა, ტრიალ მინდორზე ცალკე წვრთნიდნენ ქვეითა ჯარს და ცალკე კიდევ ცხენოსანს. მწვრთნელები გაქენებული ცხენიდან ფრინველებით ხტებოდნენ. დარბეული სოფლები კვლავ გამოცოცხლდა, ხალხი სამშობლო სოფლებს დაუბრუნდა, აანთეს გაციებული კერა. დავით აღმაშენებელი თვითონ ათვალიერებდა ჯარისკაცთა წვრთნას და წინასწარვე წყვეტდა, ბრძოლაში ვინ უფრო მამაცი იქნებოდა.



ლიანას მტრედი

ადაკო გენგელი

ადარსად ჩანს დილის შემდეგ,
რატომ დაიგვიანა?
ლამის მხერა ცაზე შერჩეს
თვალუქუქუნა ლიანას.

ნუთუ აღარ დაბრუნდება
კეკლუნი და დუღუნა,
იქნებ ქარი გადუღვა და
გული გადაუბრუნა?

„ჩემო მტრედო, — თქვა ლიანამ, —
რად დამტოვე დღობილი,
სად გაფრინდი აღრიანად
ჩემი ცის ქვეშ შობილი!

ან თუ ფიცი დაგავიწყდა
და ერთგული პირობა,
რად შეგხარი და რად ვიცავ
მე შენს ფრთავაშლილობას:

რცა მტრები სამშობლოზე
შავად ამხედრდებიან,

თქვან: „უყურეთ საფლავს მტრედს,
ის ლიანას მტრედია“.

როცა წერილს გამართმევ
ვაქვაც დაჭრილმკერდიანს,
გაგაყოდებს მხერას ნათელს,
იტყვის: „ლიას მტრედია!“

მრომა ან ვის დაჭკარგვია,
მეც მადლობას მეტყვიან,
შენზე კიდევ: „რა კარგია,
რა ჭკვიანი მტრედია“...

საიდანდაც გაჩნდა უცებ,
შურდულივით დაფრინდა,
და სიმღერა დაწყვა ქუჩებს
ლიანას ოთანდიდან.

მტრედმა თითქო შეჭლულუნა:
„მე მზად ვარო, ლიანა,
უშალ გაფტრენ, თვალუქუქუნავ,
თოდმა თუ იგრილა“.

ქრონიკონოყკუმი

თურქული ზღაპარი*)

ბიჭმა უამბო თავისი ამბავი და აცრემლებულმა სთხოვა დიღრუკუშ-ხანუმის ბუჩქის შოვნა. დევმა ძალიან გაიკვირვა.

— შეილო, მე და ჩემი შვილები ვიცავთ პერის ქვეყნის საზღვრებს, მაგრამ არ ვიცით ამ საზღვრებში რა არის. სალამოზე ჩემი შვილები დაბრუნდებიან, ვკითხოთ მათ და თუ მათაც არაფერი იციან, ჩემ საშუალო დასთან გაგავზავნი.

დევმა დაჰკრა ბიჭს ხელი, აქცია გუნდად და შეინახა თავისი კბილის ფულუროში. დადგა სალამო. იქექა იელვა, მოვიდნენ დევის შვილები და დაიძახეს:

— ადამიანის ხორცის სუნია!

დედამ გაჯავრებით უპასუხა:

— თქვენ ისეთი ავები ხართ, რომ ადამიანი აქ შემოსვლას ვერ გაბედავს. ვინ იცის, რამდენი ფრინველი და სხვა ცხოველი ვიჭამიათ დღეს. მოჩიქნეთ თქვენი კბილები! დაიწყეს დევის შვილებმა კბილების ჩიჩქნა. ერთმა რაღაც ცხოველის თავი

ამოათრია, მეორემ ფეხი. დასხდნენ და დაიწყეს საუბარი დედასთან.

— შვილებო, შეეკითხა დედა, ჩვენთან რომ ვინმე მოვიდეს და ჩემი ძუძუ მოწოვოს, ის თქვენი რა იქნება?

— ძმა.

— მაშ ამას არაფერი დაუშავოთ, თქვა დედა დევმა, ამოიღო კბილებიდან გუნდა, დაარტყა ხელი და ისევ ბიჭად აქცია.

— კეთილი იყოს შენი აქ მოსვლა, ძმაო, — უთხრეს დევის შვილებმა.

დედამ უამბო ბიჭის სურვილი, მაგრამ არც ამათ არაფერი იცოდნენ დიღრუკუშისა და მისი ბუჩქის შესახებ.

მეორე დღეს მოჰკიდეს ბიჭს ხელი, ერთ წუთში გაიარეს გრძელი გზა და მიიყვანეს დეიდა დევთან. დეიდამაც არაფერი იცოდა დიღრუკუშის შესახებ და დაჰპირდა დისწულებს ბიჭის გაგზავნას უფროს დასთან. დევის შვილებმა დატოვეს ბიჭი დეიდასთან და დაბრუნდნენ დედასთან.

დადგა სალამო. მოვიდნენ საშუალო დის შვილები. არც მათ იცოდნენ რამე დიღრუკუშის შესახებ, მაგრამ რადგან ბიჭი მათი ნათესავი იყო, არაფერი დაუშავეს და მეორე დღეს უფროსი დეიდის ციხე-კოშკში მიიყვანეს.

უფროს დას შეეცოდა ბიჭი და უთხრა:

— შეილო, ვინ მიგითითა დიღრუკუშზე? დიღრუკუშს ათასი თილისმა იცავს, როგორ მიიღებ შენ მისგან ბუჩქს. შეილო, აიღე ხელი შენს განზრახვაზე, თორემ დაიღუპები.

ბიჭმა დაუჩოქა დევის და შეეხვეწა დაჰხმარებოდა. დევმა უარი ველარ უთხრა.

— ილოცე შენი დედისათვის, რომელიც მიწაშია, მისი გულისათვის მოგეხმარები.

დაისვა წინ ბიჭი და დაარიგა:

— შეილო, დიღრუკუშს ადრე შემოახტი შენს ცხენს და აი ამ გზით წადი. შეგხვდება მიტოვებული ჯა და მცირე ტყე. ტყეში ცოცხლად დაიჭირე ორმოცდაათი ფრინველი. მიდი ჭასთან, თავი დაუქარ, ჩაყარე შიგ ფრინველები და ჩასძახე ჯაში. „მომეცით გასაღები“. ჭიდან გასაღებს ამოგივდებენ. აიღე გასაღები და განაგრძე გზა. შეგხვდება დიდი კარი და გამოქვაბული. გააღე გასაღებით კარი, შედი გამოქვაბულში, გაიწოდე მარჯვენა ხელი და აიღე



*) დასასრული. იხ. „ბიბლიო“ № 8

რაც მოგხვდება ხელში, გამობრუნდი. უკან არ მიიხედო და გასაღები ისევ ჭაში ჩააგდე. უკან თუ მიიხედავ, შენი საქმე წასულია.

ბიჭი ისე მოიქცა, როგორც ასწავლეს. აილო ჭიდან ამოგდებული გასაღები, გააღო გამოქვაბულის კარი, გაიწოდა მარჯვენა ხელი, აილო რაც ხელში მოჰხვდა, დაბრუნდა და ჩააგდო გასაღები ჭაში.

ამის შემდეგ მიანება ცხენს აღვირი. ცხენი გაეჭანა და ძალიან ჩქარა მის სახლთან მიიყვანა. დახედა ბიჭმა მიტანილ ბუჩქს და რა ნახა — თითოეულ ტოტზე იჯდა უნახავი სილამაზის ჩიტი. თითოეული ჩიტი გალობდა თავისი განსაკუთრებული ხმით, ისე ლამაზად, ისე მელოდურად, რომ ვერ აიწერება, ვერც ვადმოიცემა. დაინახა ეს ბიჭმა და დაავიწყდა გამოვლილი ტანჯვა.

— ყოჩაღ, ჩემო დაიკო, ეს საგანი მართლა ღირსია შენი ღიდი სურვილისა! — და გადასცა ბუჩქი დას.

ერთ მშვენიერ დღეს ბიჭი ისევ წავიდა სანადიროდ. თურმე, სწორედ ამ დღეს ფადიშახსაც უსურვია ნადირობა. შეჰხვდა ფადიშახი ბიჭს, ბევრი ემუხაიფა, დაბრუნდა სასახლეში და ავად ვახდა. გაიგეს დებმა ავადმყოფობის მიზეზი და შეწუხდნენ. გამოიწვიეს ბებია-ქალი და უამბეს, რომ მათი დისწული ისევ გამოჩენილა.

გაუკვირდა ბებია-ქალს და წავიდა მეორე დღეს ტყეში. მივიდა გამოქვაბულთან და დაინახა გოგონა, რომელიც ბუჩქით ირთობდა თავს.

მიესალმა ბებია-ქალი გოგოს. ის უფრო მეტი პატივისცემით შეჰხვდა და უამბო, რომ ბუჩქი ძმამ მოუტანა. ერთხელ კიდევ შეეცადა ბებია-ქალი ბიჭის დალუბას.

— ჩემო შვილო, უთხარი შენს ძმას, ახლა დილრუკუმის სარკე მოგიტანოს. ისეთი მშვენიერი რამ არის, რომ ბუჩქი დაგავიწყდება, სარკეს რომ აიღებ ხელში. იმ სარკეში მთელი მსოფლიო ჩანს. რასაც კი მოისურვებ, ყველაფერს დაინახავ იმ სარკეში. მხოლოდ არ უთხრა შენს ძმას, რომ მე გასწავლე.

მორთო ისევ გოგონამ ტირილი და ისე ტირიდა, რომ გამოქვაბული მარგალიტით აივსო, მანამ ძმა მოვიდოდა. დაბრუნდა ძმა და ნახა დას თვალები დაჰსიებოდა და სახე გაჰყვიტლებოდა. რომ გაიგო ტირილის მიზეზი, უამბო დას, რამდენი საშიშროება გადაიტანა ბუჩქის ძებნაში, მაგრამ დას მისი სურვილი მაინც ვერ მოუშალა. წავიდა სარკის მოსატანად. მოიტანა სარკეც.

იხედებოდნენ სარკეში და მართლა ხედავდნენ მასში, რასაც კი მოისურვებდნენ. დაავიწყდა დას ბუჩქი და სარკით ირთობდა თავს. ძმა კი ისევ სანადიროდ დადიოდა. ერთ დღეს ისევ შეჰხვდა ფადიშახს. დაინახა ფადიშახმა ბიჭი და გული შეუწუხდა. ძლივს მიიყვანეს სასახლემდე. გაიგეს დებმა ფადიშახის ავადმყოფობის მიზეზი, დაუძახეს ბებია-ქალს და უთხრეს: მოკალ ბიჭი, თორემ მოსვენებას არ მოგცემთო.



წავიდა ბებია-ქალი გოგონასთან და ჩააგონა ეთხოვა ძმისათვის თვითონ დილრუკუმში მოეყვანა მისთვის.

დაბრუნდა თუ არა ძმა? სალამოზე, გოგონამ დაუწყო ხვეწნა დილრუკუმ-ხანუმ მომიყვანეო და დაემუქრა — თუ არ მომიყვან, თავს მოვიკლავო.

დალონდა ბიჭი და უთხრა:

— ჩემო დაიკო, ხომ იცი, რა საშიშროება გადავიტანე ორჯერ — ბუჩქისა და სარკის გამო. ვინ იცის, რა მომელის, თვით დილრუკუმის მოსაყვანად რომ წავიდე. გადაიგდე გულიდან ეს სურვილი, ჩემო დაიკო, ნუ დამლუბავ.

არათერმა არ გაქრა, გოგონა მაინც თავისას გაიძახოდა.

გამოემშვიდობა ბიჭი ამ ჯერობაზე თავის დას ისე, თითქო სასიკვდილოდ მიდიოდა, და პირდაპირ უფროს დედა-დევთან წავიდა.

დიდხანს ეხვეწა, ხელ-ფეხი უკოცნა, მაგრამ როცა თქვა: რომ თვით დილრუკუმის წააყვანად მოვიდა, დედა-დევა უპასუხა:

— შვილო, რა მამაცი რამ ყოფილხარ, მაგრამ ამ ჯერზე სიკვდილს ვერ გადაურჩები. დაეთხოვე ამ საქმეს.

ბიჭი კი თავისას გაიძახოდა:

— შეიძლება დავიღუპო, მაგრამ უარს ვერ ვიტყვი. მასწავლე და წავალ. ან დავიღუპები, ან მოვიყვან დილრუკუმს.

დევი ვერ წინააღუდგა ბიჭის ხვეწნას და ასე მიასწავლა:

— შვილო, წადი, ჭიდან გასაღები მიიღე. გააღე გამოქვაბულის კარი და შედი შიგ. წინ სწორი

გზა დაგზვდება. ბნელაში წადი ამ ვხით, მაგრამ აქეთ-იქით არ მიიხედო. ხანგრძლივი გზის შემდეგ გახვალ ნათელ ადგილს, დაინახავ ჩინარის ტყეს და მის უკან სასაფლაოს. სასაფლაო მოფენილი იქნება ადამიანის ფიგურებით. ეგ სულ ადამიანებია, რომლებიც დილრუკუმის წასაყვანად ყოფილან. ისინი ყველანი ქვად იქცნენ. ნუ დაუწყებ მათ ყურებას, წადი წინ. ბოლოს დაინახავ დილრუკუმის სასახლეს, და დაიკვილე „დილრუკუმ“. რა მოგივა ამის შემდეგ, ეს კი არ ვიცი.

გამოემშვიდობა ბიჭი თავის დედა-დევეს და გაუდგა გზას. მივიდა ქასთან, ჩაყარა დაჭერილი ფრინველები, აიღო ამოგდებული გასაღები, გააღო გამოქვავბულის კარი და შევიდა შიგ. განუჭვრეტელ სიბნელეში გასწია ბიჭმა წინ. იარა, იარა და მივიდა ნათელ ადგილას. მიღწია ჩინარის ტყეს, სადაც თითოეული ხე ცამდე აღიოდა. გარშემო არავინ იყო, საშინელი სიჩუმე სუფევდა. გაიარა ჩინართა შორის და დაინახა სასაფლაო უამრავი ქვის ქანდაკებით, ყველა ადამიანის ფიგურას ჰგავდა. შიშმა აიტანა ბიჭი, მაგრამ შეიკავა თავი და განაგრძო გზა. შორს გამოჩნდა უზარმაზარი მშვენიერი სასახლე. მივიდა სასახლესთან და როგორც დედა-დევემა ასწავლა, რაც ხმა ჰქონდა, დაიკვილა „დილრუკუმ“—და გაქვავდა მუხლებამდე. დაიკვილა მეორედ „დილრუკუმ“ და გაქვავდა წელამდე, დაიკვილა მესამედ და გაქვავდა ყელამდე. მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ლონე და დაიკვილა კიდევ „დილრუკუმ“

და როცა გაქვავებამ თავის ქალას მიღწია, გამოვიდა ოქროს ქოშებიანი დილრუკუმში, მიიღებინა ბიჭს თან, ოქროს ტაშტით ამოიღო წყალი აუზიდან და მიასხურა ბიჭს.

— ყმაწვილო, რა გინდა ჩემგან, ერთხელ მოხველ და წაიღე ჩემი ბუჩქი, მეორედ მოხველ და წაიღე ჩემი სარკე. ახლა სასახლეს მოაღწიე. მადლობა შესწირე დედაშენს, რომელიც უდანაშაულოდ წევს მიწაში. მისი წყალობით ხარ ნაპატიები, თორემ დღეს ქვად უნდა ქცეულიყავ. კიდევ რა გინდა ახლა?—დაუმატა მან.

— შენ მინდინხარ, შენ უნდა წაგიყვანო აუცილებლად, —სრულიად აუღელვებლივ უპასუხა ახალგაზრდამ.

— თუ ასეა, მომისმინე, თორემ ორივენი დავილუბებით. მე წავალ, გამოვიტან სასახლიდან ჩემნივთებს და მოვიყვან არაბულ ცხენებს. შეეჯდებით თუ არა ცხენებს და შევუდგებით გზას, სასახლეში საშინელი არეულობა ატყდება. არ მიიხედო უკან და არაფერს ყური არ ათხოვო.

ყმაწვილმა დაბეჯითებით მოსთხოვა დილრუკუმს გაცოცხლებინა გაქვავებული ადამიანები. დაბრუნდა დილრუკუმში სასახლეში, წამოიღო მსუბუქი ძვირფასი ნივთი და უბრძანა ცხენები მოერთმიათ. ოქროს ტაშტით ამოიღო აუზიდან წყალი და მიასხურა ქვის ფიგურებს. გაცოცხლდნენ ფიგურები, იქცნენ ისევ ადამიანებად. დაიძრნენ ადგილიდან დილრუკუმ და ახალგაზრდა. საშინელი ალიაქოთი ატყდა სასახლეში. მგზავრები კი მიდიოდნენ, უკან არ იხედებოდნენ და მივიდნენ დაძმის გამოქვავბულთან და გამოეგება მათ, გადააკონა მომვლელები. გაიარა რამდენიმე დღემ. ახალგაზრდა სანადიროდ გაემზადა, მაგრამ დილრუკუმმა არ გაუშვა. დილრუკუმში იყო ხელმწიფე პერის შვილი და მასზე ლამაზი მსოფლიოში არავინ იყო.

დამ და ძმამ არ იცოდნენ ვისი შვილები იყვნენ, დილრუკუმში კი პერის შვილი იყო და ამიტომ ყველაფერი იცოდა.

ერთ ღამეს უთხრა ვაჟს:

— ხვალ წადი სანადიროდ. ფადიშახს შეჭვდები და ის სასახლეში მიგიწვევს. უარი არ უთხრა, მაგრამ სთხოვე დანიშნულ დღეს ცხენოსნები შეგზვდნენ და ბაღებზე გადაგატარონ სასახლემდე. უთხარი ასე და დაბრუნდი.

მეორე დღეს ახალგაზრდა წავიდა სანადიროდ. შეჭვდა იქ ფადიშახს და შეთანხმდნენ სასახლეში მისვლის შესახებ. გახარებული ფადიშახი დაბრუნდა სასახლეში. ახალგაზრდამ კი ყველაფერი უამბო დილრუკუმს.

დანიშნულ დღეს დილრუკუმში ძალიან ადრე ადგა და ააყენა დაძმა. საუზმის შემდეგ დილრუკუმმა შემოკრა ტაში და წამოიძახა;

— ბიძია ოფ, გამოცხადდი:

საიდანაც არ იყო, გამოცხადდა უზარმაზარი ზან-



გი, ერთი ტუჩი მიწაზე ეთრეოდა, მეორე ცამდე იყო ამართული და თქვა:

— რას მიბრძანებთ, ჩემო ქალბატონო?

დიღრუკუშმა უბრძანა მოეყვანა მისი მამის ერთი არაბული ცხენი. ზანგი ქარივით გაექანა და ჩქარა დაბრუნდა მშვენიერი მორთული ცხენით. შესვეს ახალგაზრდა ცხენზე და გააგზავნეს ბაღებისაკენ. ბაღებთან ახალგაზრდას მშვენიერი ცხენოსნები ელოდებოდნენ. ახალგაზრდას ცხენი და მისი ძვირფასი მორთულობა რომ დაინახეს, გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადააზხედეს.


როცა დიღრუკუშმა ახალგაზრდას სასახლეში ისტუმრებდა, დაარბია: იქიხინებს თუ არა შენი არაბული ცხენი, მაშინვე დაბრუნდი და ფადიშახს აუცილებლად სთხოვე სამი დღის შემდეგ გეწვიოს სტუმრადო. ახალგაზრდამ დიდის ამბით გადაიარა ბაღებზე, სალამს აძლევდა შეგროვებულ ხალხს და ასე მივიდა სასახლესთან. მას პატივით შეჰხვდნენ, მოწყობილი იყო ცეკვა; თამაში, მუსიკა. ზემი რომ გათავდა, ფადიშახმა ახალგაზრდას სასახლე დაათვალიერებინა. ამ დროს ცხენის ჭიხინი და ჩლიქების ცემა გაისმა. ახალგაზრდა გაემხადა წასასვლელად და ფადიშახის არავეთარმა თხოვნამ, რომ ცოტა კიდევ დარჩენილიყო, არ გაჭრა. ახალგაზრდამ მიიწვია ფადიშახი თავისთან და დაჰპირდა სამი დღის შემდეგ ბაღებთან შეგებებას.

ფადიშახმა მიწვევა მიიღო.


ახალგაზრდა დაბრუნდა თავის გამოქვამულში. დიღრუკუშმა კი თავისი გადიის საშუალებით იმავე დღეს ბავშვების დედა გამოქვამულში გადმოიტანა და დაუწყო მას მოვლა: გაბანა, ფრჩხილები წააჭრა, თმები დაუვარცხნა, უმკურნალა და მოარჩინა, მაგრამ არც დედა იცნობდა თავის შვილებს, არც შვილები დედას.

იმ დიღას, როდესაც ფადიშახი უნდა მობრძანებულიყო, ყველანი აღრიანად აღგნენ და ნახეს რომ გამოქვამული კი აღარ იყო, დიდ სასახლეში გადაქცეულიყო. ოთახები საუცხოოდ იყო მოწყობილი. სასახლის გარშემო საუცხოოდ ბაღი იყო, თითოეულ კვალზე—ახალახალი ყვავილები და ფრინველები, სასახლეში—აუარებელი მოსამსახურე. მოცეკვავეები და მუსიკოსები ლაპარაკობდნენ და მღეროდნენ რაღაც განსაკუთრებული ხმებით. ფადიშახის გასამსპინძლებლად ყველაფერი დამზადებული იყო. ფადიშახის შესახვედრად მრავალი ცხენოსანი წავიდა. ფადიშახის ამაღა ამტკიცებდა, ახალგაზრდა აღამიანის შვილი არ არის, თორემ ყველაფერს ასე ვერ მოაწყობდაო. გაკვირვებამ იმატა, სასახლეში რომ შევიდნენ. ფადიშახი საუკეთესო ოთახში მიიღეს. მიართვეს ყავა და გამაგრილებელი სასმელები. გაისმა საზანდარის ხმა და ჩიტების ქიკიკი. ფადიშახს საუცხოოდ გაუმასპინძლდნენ და საღამომდე ართობდნენ მუსიკითა და ჯამბაზებით. როცა ფადიშახის შინ დაბრუნების დროც მოახლოვდა, იგი მიიწვიეს შიგა დარბაზში, სადაც შეჰხვდა ახალგაზრდა, დიღრუკუში და მის უკან ახალგაზრდის დედა და და. ფადიშახი უყურებდა და არ იცოდა რა ეთქვა. დიღრუკუშმა ანიშნა, და ყველანი ფადიშახის წინ დასხდნენ. დიღრუკუშმა დაწვრილებით უამბო ფადიშახს მთელი ამბავი, და ფადიშახმა გაიგო, რომ ეს და-ძმა მისი შვილებია და ეს ქალი მისი ცოლი. ისე გაეხარდა, რომ სიხარულმა ცოტა იყო არ მოკლა. გადაეხვია ყველას და მიუაღერსა. აქედან გამოემგზავრნენ ფადიშახის სასახლეში, სადაც დიდებულად გადაიხადეს ახალგაზრდისა და დიღრუკუშის ქორწილი.

თარგმანი თამარ ბეზუნიშვილისა



ბასკეტბოლი



გათავისუფლეთ ტყვე






ამ თამაშში მონაწილეობა უნდა მიიღოს 15-16 ბავშვმა.

მოედანზე უნდა შემოხაზოთ სამი წრე, ერთიმეორის შიგნით. ყველაზე პატარა წრეში დადგება „ტყვე“, მეორე (შიგნითა) წრეზე დარაჯები, მესამეში კი თამაშის დანარჩენი მონაწილენი.

მესამე წრეში მდგომი მოთამაშენი ცდილობენ შეარჩიონ მოხერხებული მომენტი და ბურთი გაისროლონ ისე, რომ ტყვემ შეძლოს მისი დაქერა. დარაჯები კი ბურთს არ უშვებენ ტყვემდე. თუ ტყვემ მაინც მოახერხა ბურთის დაქერა, იგი განთავისუფლებულად ჩაითვლება, მის ადგილზე კი დადგება ის დარაჯი, რომელმაც ბურთი გაუშვა ტყვემდე.

თამაში დასრულდება მაშინ, როდესაც მეორე წრეში მხოლოდ ერთი დარაჯი დარჩება. ეს დარაჯი ითვლება გამარჯვებულად.

ფანქრის ერთი მოსმით



სცადეთ მოხაზოთ ზემონაჩვენები ფიგურები ფანქრის ერთი მოსმით.